ᲫᲚᲘᲠᲕᲔᲚᲘ

შეთანხმება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „გილანი- XXI“ შორის 2014 წლის 19 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №270 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

№24/270
„01“ 08 14 წ.

ქ. ზუგდიდი *01 აგვისტო, 2014 წელი*

ერთის მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „გილანი - XXI“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ავთანდილ წირღვავას სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“–ს შესახებ და „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების მუნიციპალიტეტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №515 განკარგულების საფუძველზე, „მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №363 დადგენილების შესაბამისად, ზუგდიდის ახალი მუნიციპალიტეტისთვის გაუქმებული მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების გადანაწილებასთან დაკავშირებით, უფლებამონაცვლე ახალი მუნიციპალიტეტის დასახელების, ხელმოწერეზე უფლებამოსილი პირის, საგადასახადო და საბანკო რეკვიზიტების გათვალისწინებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „გილანი - XXI“-ს შორის 2014 წლის 19 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №270 ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება“) შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები:

ა) შეიცვალოს ხელშეკრულების პრეამბულა და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

- ერთის მხრივ, *ზუგდიდის მუნიციპალიტეტი* (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორეს მხრივ, *შპს „გილანი- XXI“* (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ავთანდილ წირღვავას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე.

ბ) შეიცვალოს ხელშეკრულების მე-17 მუხლის 17.2 პუნქტში მოცემული ინსპექტირების ჯგუფის წევრთა შემადგენლობა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- *პუნქტი 17.2* – ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: – ვლადიმერ გვილია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი; - მურმან ბოკუჩავა - მშენებლობის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტის დროებით

- მოვალეობის შემსრულებელი; - ლეონტი ფაჟავა - მშენებლობის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების წამყვანი სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებელი.

გ) ხელშეკრულებაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რეკვიზიტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, იურიდიული მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, საიდენტიფიკაციო ნომერი: 220416967, მომსახურე ბანკის დასახელება: სს „ლიბერთი ბანკი," საბანკო ანგარიშის ნომერი: GE13LB0120111405438000, ბანკის კოდი: LBRTGE22.

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან," ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს."
4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„შემსყიდველი"	*„მიმწოდებელი"*
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	*შპს „გილანი- XXI"*
იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90	იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის ქ. №140
საინდენტიფიკაციო კოდი: ***220416967***	საიდენტიფიკაციო კოდი: **220415272**
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი"	საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE13LB0120111405438000	ანგარიშის ნომერ: GE20BG0000000897594800
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი:	*შპს „გილანი- XXI "-ს დირექტორი:*
..... /ე. თოლორაია/	..... /ა. ჩოლოყავა/